ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 233

"10" ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14დ-ში, №14ბ-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.213, №01.19.19.005.217 და №01.19.19.005.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14დ-ში, №14ბ-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.213, №01.19.19.005.217 და №01.19.19.005.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №22.784.833 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა №14დ-ში, №14ბ-ში (საკადასტრო კოდები: №01.19.19.005.213, №01.19.19.005.217 და №01.19.19.005.007) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

	დანართი N1				
	ქალაქ თბილისი, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14დ, გახოკიძის ქუჩა N14ბ (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.213, N01.19.19.005.217 და N01.19.19.005.007)				
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინა ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ნიკოლოზი დუღაშვილი	40001040338	სართული 1, ბინა N48ა	90.78	01.19.19.005.213.01.501
2	დავით ფორჩხიძე	37001005110	სართული 1, ბინა N45	80.02	01.19.19.005.217.01.045
3	ბაქარი გახარია	43001027070	სართული 1, ბინა N2ბ	24.03	01.19.19.005.007.01.002ბ